ა.(ა).ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა
გაერთიანება

ქ.ლანჩხუთი, ნინოშვილის ქ.№52, (ს/კ 433649411) ტელ: 591 262226

№ 35 8 ივლისი 2025წ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

ა(ა)იპ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება წარმოგიდგენთ 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშს.

პატივისცემით,

ა.(ა).ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების

დირექტორი: ლ.ურუშაძე

05 02 01 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება არის შემოქმედებითი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულება, რომლის ძირითადი მიზნები და ამოცანებია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებაში შემავალი სკოლების მოსწავლეებისათვის ეროვნული, კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა და შეყვარება, კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, ფასიანი საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში, სხვადასხვა გამოფენებში როგორც საქართველოში, ისევე საზღვარგარეთ.

ქვეპროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მ.ორაგველიძის სახელობის სამუსიკო, სუფსის სამუსიკო და ლანჩხუთის ვ. ბარამიძის სახელობის სამხატვრო სკოლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალურ ღონისძიებებში: საშობაო, დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,საჩუქარი დედებს", დედაენის დღისადმი, სახალხო დღესასწაული,,ლელო", საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, პარალელურად მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კონკურსებსა და კონკურს-ფესტივალებში: ხელოვნების მე-18 ეროვნული კონკურს-ფესტივალი,,მომავლის ვარსკვლავები", ხობის ხელოვნების კონკურს-ფესტივალი ,,ჰარიდა". ქართული კლასიკური მუსიკის მე-8 ეროვნული კონკურსი ქ.ზესტაფონი. ქართული სიმღერების I რესპუბლიკური კონკურსი ქ.ჭიათურა. კლასიკური გიტარის, ფოლკლორული ანსამბლებისა და ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალი, დასავლეთ საქართველოს საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი ,,სენაკი არტ-ფესტივალი-2025", კ.ჩერნის სახელობის III რესპუბლიკური კონკურსი ქ.ლანჩხუთში, საპატრიარქოს ხელმძღვანელობით კონკურსი "ჩვენ ვასურათებთ ბიბლიას".

დედაენის დღისადმი მიძღვნილი კონკურსი-,,ო ენავ ჩემო, დედაო ენავ" " მასწავლებელთა და მოსწავლეთა პერსონალური გამოფენები, 26 მაისი საქ. დამოუკ.დღისადმი მიძღვნილი გამოფენა "ჩემი საქართველო აქ არის". საქ.განათლების, მეცნ.კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოფენა კონკურსი "ფუნჯი და კალამი -მომავლის მეგზურნი".

მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვალით დანახული წელიწადის ოთხი დრო(პლანერზე ხატვა) საშობაო გამოფენა.

აღნიშნულ კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობა მიიღო -150 მოსწავლემ;

ლაურეატის წოდება მიენიჭა -65 მოსწავლეს;

საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა -20 მოსწავლე;

სიგელი - 65 მოსწავლე.

ათ. ლარი

	დასახელება	2025 წლის 6 თვის გეგმა			2025 წლის 6 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები
05020102	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	402,3	373,4	28,9	355,8	336,03	19,8	88,4%	89,99%	68,5%

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს ----373400--- ლარს, საიდანაც გახარჯულია -336030-- ლარი, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება -გეგმით - 297491ლარი, გახარჯულია - 287547ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება- გეგმით - 22260 ლარი, გახარჯულია - 22255 ლარი;
- ოფისის ხარჯი -გეგმით 23420ლარი, გახარჯულია - 11604ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი- გეგმით -7506 ლარი, გახარჯულია - 7506 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქ.და მომსახურება გეგმით -9304ლარი, გახარჯულია - 5218 ლარი;
- რბილი ინვენტარი- გეგმით - 400 ლარი, გახარჯულია - 400 ლარი;
- არაფინანსური აქტივები -გეგმით- 5700 ლარი, გახარჯულია - 1500 ლარი.

2025 წლის 1 იანვრისათვის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთის სახით გვქონდა - 4347 ლარი.

2025 წელს მშობელთა შემონატანის 6 თვის გეგმა შეადგენს - 24345 ლარს, შემოსულია - 24380 ლარი.

საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯულია - 19820 ლარი:

- შრომითი ანაზღაურება გეგმით-2000 ლარი, გახარჯულია -2000 ლარი;
- მივლინება გეგმით - 800 ლარი, გახარჯულია - 260 ლარი;
- ოფისის ხარჯი გეგმით- 9000ლარი, გახარჯულია -4695 ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი გეგმით -5347 ლარი, გახარჯულია -2000 ლარი;
- ტრანსპორტის ხარჯი გეგმით -3970 ლარი, გახარჯულია -2450 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება გეგმით-2800 ლარი, გახარჯულია - 3015ლარი;
- არაფინანსური აქტივები გეგმით - 5000ლარი, გახარჯულია - 2500 ლარი.
- სხვა ხარჯი- გეგმით- 2900 ლარი, გახარჯულია - 2900 ლარი;

ანგარიშზე ნაშთის სახით 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დარჩა - 8907.07 ლარი

ა(ა)ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი

ლანჩხუთი, ნინოშვილის №37

№ 114

11 ივლისი 2025 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს
ბატონ როლანდ ლაშხიას

ბატონო როლანდ,

ა(ა)ი.პ. სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი წარმოგიდგენთ 2025 წლის ექვსი თვის ფინანსურ ანგარიშს.

პატივისცემით

მარინა კეიდია
ცენტრის დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

04 01 -სკოლამდელი განათლება

ა(ა) ი პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მიზანია სკოლამდელ დაწესებულებებში უზრუნველყოს თითოეული ბავშვის მრავალმხრივი განვითარება თამაშზე დაფუძნებული და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომით,სკოლამდელ დაწესებულებაში მზრუნველი და მასტიმულირებელი გარემოს შექმნა პერსონალის კომპეტენციების ამაღლებით და ოჯახებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

2025 წლისათვის 16 ტერიტორიულ ერთეულში ფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი,რომელშიც ირიცხება 717 აღსაზრდელი.

ქვეპროგრამის ფარგლებში სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის წლის გეგმა შეადგენდა 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარს, საიდანაც ექვს თვეში გაიხარჯა 2514787 (ორიმილიონ ხუთასთოთხმეტიათას შვიდასოთხმოცდაშვიდი) ლარი.

კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ექვსი თვის ფაქტი	შესრულება %-ში
0401	სკოლამდელი განათლება	5 000 000	2 514 787	50%

მათ შორის:

შრომის ანაზღაურება- გეგმით - 3610048 ლარი, გახარჯულია-1686751 ლარი

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება-გეგმით 269801 ლარი, გახარჯულია-131901 ლარი

მივლინება - გეგმით 8000 ლარი,გახარჯულია -3582 ლარი

ოფისის ხარჯი -გეგმით 547848 ლარი, გახარჯულია -384220 ლარი

რბილი ინვანტარი და უნიფორმა - გეგმით 650 ლარი, გახარჯულია -648 ლარი

კვების ხარჯი -გეგმით 387673 ლარი, გახარჯულია - 195803ლარი

ტრანსპორტის ხარჯი - გეგმით 83000 ლარი, გახარჯულია -32619 ლარი

სამედიცინო ხარჯი -გეგმით 225 ლარი, გახარჯულია 225 ლარი.

სხვა დანარჩ.საქონელი და მომსახ.ხარჯი -გეგმით 46680 ლარი,გახარჯულია -28764 ლარი

სოც უზრუნველყოფის ხარჯი - გეგმით 15000 ლარი, გახარჯულია -12286 ლარი

არაფინანსური აქტივები - გეგმით 31300 ლარი, გახარჯულია -16998 ლარი

2025 წლისათვის ქალაქის, აცანისა და სუფსის საბავშვო ბაღები ემზადება ავტორიზაციის გასავლელად, ამასთან დაკავშირებით განხორციელდა საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარების ტრენინგები, ასევე პირველადი დახმარების აღმოჩენის ტრენინგები, ჰასპის პროგრამის ტრენინგები, რაშიც დაიხარჯა 12250 (თორმეტიათას ორასორმოცდაათი) ლარი. საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების მხარდაჭერისთვიოს შეძენილი იქნა განმავითარებელი რესურსები, სათამაშოები, წიგნები და ხარჯვადი რესურსები, რაშიც დაიხარჯა 27110 (ოცდაშვიდიათასასათი) ლარი. სააღმზრდელო ცენტრის მიერ შემუშავებული იქნა 2024-2029 წლის სტრატეგიული გეგმა, 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული დაგეგმვით, მეთოდოლოგიის გათვალისწინებით მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელდა სამოქმედო გეგმის ორი მონიტორინგი და მონიტორინგის საფუძველზე სამოქმედი გეგმის შეფასება. შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნები შესაბამისი აქტივობებითა და ამოცანებით შესრულებული იქნა. სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ქალაქის, აცანისა და შუხუთის საბავშვო ბაღებში შესრულებული იქნა რიგი სამუშაოებისა, რაზეც დაიხარჯა 28630 (ოცდარვაათასექვსასოცდაათი) ლარი. ინფრასტრუქტურის კუთხით ქალაქის, შუხუთის, აცანის, სუფსის საბავშვო ბაღებში ჩატარდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რაშიც დაიხარჯა 106110 (ასექვსიათასასათი) ლარი.ბაღებისათვის, რომლებიც გადიან ავტორიზაციას, შეძენილი იქნა კომპიუტერები და პრინტერები, რაშიც დაიხარჯა 5560 (ხუთიათასხუთასსამოცი) ლარი.

საბავშვო ბაღებში დაინერგა 2024-2029 წლების სტრატეგიული გეგმა და 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა. 2025 წლისათვის გამოცხადდა 13 ტენდერი და დაიდო ხელშეკრულებები თანხით 602735 (ექვსასორიათასშვიდასოცდათხუთმეტი) ლარი.

2025 წლისათვის სტანდარტებთან შესაბამისობით დაინერგა საბავშო ბაღების 10 (ათი) დღიანი მენიუ-განწილვა 2 სეზონისთვის, კერძოდ: დღიური რაციონის შემადგენელი კერძების ჩამონათვალი; კერძების მრავალფეროვნებისა და სეზონურობის (2 სეზონზე), ასევე იდენტური კერძების განმეორებებს შორის რეკომენდებული ინტერვალის (არანაკლებ ორი დღე); საქართველოს მთავრობის N487 დადგენილების მიხედვით დღიურად გასაცემი პროდუქტების, სასმელის, ლიმიტირებული და აკრძალული პროდუქტების/საკვების (მ. შ. საოჯახო პირობებში მომზადებული საკვები და საკვებდანამატები) გათვალისწინებით და რეკომენდებული დოზების/ნორმების დაცვით.

ბაღებში ყოველთვიურად ხდება დეზინფექცია-დერატიზაციის სამუშაოების ჩატარება. გვემსახურება ა(ა)ი.პ. ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება ხელშეკრულება 7510 (შვიდიათასხუთასათი) ლარზე.

წელიწადში ორჯერ ბაღებში მოწმდება წყალი და მზა საკვები ლაბორატორიულად, რაშიც ექვს თვეში დაიხარჯა 5865 (ხუთიათასრვაასსამოცდახუთი) ლარი.

ქალთა საფეხბურთო კლუბი
„ლანჩხუთი“

WOMEN'S FOOTBALL CLUB
LANCHKHUTI

შპს ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთი
სკ / Tax ID: 433649493. ქ. ლანჩხუთი ჟორდანიას ქ. N 126.
Zhordania Str. N 126, Lanchkhuti, Georgia

Ltd women's football club Lanchkhutis Lanchkhuti
ტელ/ Tel: + 995 599 31 68 86
E-Mail: wfclanchkhuti@gmail.com

N43

11 ივლისი 2025 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს
ბატონ როლანდ ლაშხიას

ბატონო როლანდ,

შ.პ.ს. ,,ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთი'' წარმოგიდგენთ 2025 წლის ექვსი თვის ფინანსურ ანგარიშს.

რევაზ ჩხაიძე
კლუბის დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

შ.პ.ს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის ლანჩხუთის 2025 წლის 6 თვის ფინანსური ანგარიში

შ.პ.ს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთი დაფუძნდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება #252. 17,04,2018.
ქალთა საფეხბურთო კლუბის დაფინანსების წყაროა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, ა(ა)ი.პ. ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი, სპონსორები: სს ,,ლიბერთი ბანკი'', შპს ,,კერხელი''.

ბიუჯეტი – 385357 ლარი ; აქედან 175000 ლარი სუფსიდია; 210357 ლარი საკუთარი ხარჯი;

- **თანამშრომელთა რაოდენობა – 34**

შტატით 2 , ხელშეკრულებით 32, აქედან 20 ფეხბურთელი;
ბიუჯეტი მუხლობრივად გადანაწილდა შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურება –22255ლარი
2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 214675 ლარი
3. მივლინება – 13860 ლარი
4. ტრანსპორტი – 8000 ლარი
5. სამედიცინო ხარჯი –18137 ლარი
6. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 31296 ლარი
7. ოფისის ხარჯი – 16859 ლარი
8. კვების ხარჯი - 52000 ლარი
9. რბილი ინვენტარი და უნიფორმა - 4734 ლარი

ექვს თვეში გაიხარჯა 269904 ლარი, რაც მუხლობრივად გადანაწილდა შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურება –11928 ლარი
2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 165055 ლარი
3. მივლინება – 12688 ლარი
4. სამედიცინო ხარჯი –17204 ლარი
5. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 26848 ლარი
6. ოფისის ხარჯი – 16857 ლარი
7. კვების ხარჯი - 12350 ლარი
8. რბილი ინვენტარი და უნიფორმა - 4734 ლარი

შ.პ.ს. ქალთა საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის ლანჩხუთის ბიუჯეტი ძალიან მწირია, მოგეხსენებათ, გუნდი მონაწილეობს საქართველოს ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში, საქართველოს ქალთა თასის გათამაშებაში (დაიწყება შემოდგომით) და უეფას ქალთა ჩემპიონთა ლიგაში. ამ ბიუჯეტის ფარგლებში ხერხდება გუნდის საჭიროებების მხოლოდ ნაწილის დაკმაყოფილება. გუნდი წარმატებით ასპარეზობს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, იბრძვის ჩემპიონობისათვის და სატურნირო ცხრილში მეორე საპრიზო ადგილს იკავებს. ამჟამად ვემზადებით უეფას ქალთა ჩემპიონთა ლიგის მატჩებისათვის, რომელიც აგვისტოს თვეში გაიმართება.

შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“
LTD LANCHKHUTI TRANSPORT COMPANY

433655822 ქალაქი ლანჩხუთი, ჭორდანიას ქუჩა N126 TEL: 599 16 09 99
TSULADZEVAKO4@GMAIL.COM

წერილის ნომერი: **28-302519547**
თარიღი: **14/07/2025**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

შპს „ ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“ წარმოგიდგენთ 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშს. (იხ. დანართი №1)

პატივისცემით,

ვალერიან წულაძე

შპს „ ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“-კომპანიის დირექტორი

Valerian Tsuladze 26001002311
Digitally signed by Valerian Tsuladze
Date: 2025.07.14 15:29:14

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

შპს „ ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში

შპს „ ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“ ს/ნ (433655822) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლისა და 106[1] მუხლის საფუძველზე დაფუძნებული და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სამეწარმეო საზოგადოება (იურიდიული პირი).

კომპანიის მიზანია მართლზომიერი, არაერთჯერადი და დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღება. კომპანიას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა კომპანიის წესდების შესაბამისად .

კომპანიის **საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს,** რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში (M_3 კატეგორიის ავტობუსებით) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა.

კომპანიის საკუთრებაშია 8(რვა) მუნიციპალური ავტობუსი (5(ხუთი) მოქმედი) და 2(ორი) JCB ექსკავატორი. კომპანიის ძირითად ხარჯს წარმოადგენს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებებისათვის გათვალისწინებული მომსახურებები და საწვავით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხები.

შპს „ ლანჩუთის სატრანსპორტო კომპანია“ დარეგისტრირდა 2025 წლის 01 აპრილს, თუმცა ფუნქციონირება დაიწყო 2025 წლის 01 მაისიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ორი თვის გეგმა შეადგენდა 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარს , საიდანაც გახარჯულია 85 630 (ოთხმოცდახუთი ათას ექვსას ოცდაათი) ლარი , მათ შორის:

- ხელფასის მუხლი გეგმით -13 400 , გახარჯულია- 13 400 ლარი.
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმით- 33 825 ლარი, გახარჯულია 33 825 ლარი
- მივლინება გეგმით- 500 ლარი - გახარჯულია 420 ლარი.
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება გეგმით - 400 ლარი, გახარჯულია 52 ლარი.
- სამედიცინო ხარჯი გეგმით -500 ლარი, გახარჯულია - 0 ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა გეგმით- 4 750 ლარი, გახარჯულია - 4 346 ლარი.
- ტრანსპორტის ხარჯი გეგმით- 92 922, გახარჯულია - 31 047 ლარი, რომელშიც არ შედის ივნისის თვის საწვავის ღირებულება (14 980 ლარი).

- ოფისის ხარჯი გეგმით -3 703 ლარი, გახარჯულია - 2 540 ლარი.

2025 წლის 01 მაისის მდგომარეობის საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთი ანგარიშზე არ გვქონდა. ორი თვის განმავლობაში საკუთარი შემოსავლების ჯამური თანხა შეადგენს: 51 755 (ორმოცდათერთმეტი ათას შვიდას ორმოცდათხუთმეტი) ლარს, საიდანაც 24991.50 (ოცდაოთი ათას ცხრაას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს" და სს საქართველოს ბანკს შორის დადებული 2024 წლის 26 მარტის N 16022024 ხელშეკრულების შესაბამისად, სადისპეჩერო მომსახურეობის გაწევისთვის აუცილებელი ტრანსპორტის გაჩერების მოწყობის მიზნით ჩარიცხული თანხა.

საკუთარი შემოსავლებიდან თანხა მეორე კვარტალში გახარჯული არ არის.

შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის
ხელშეწყობის ცენტრი“
LTD Tourism and Agriculture Promotion Center

433654397 ქალაქი ლანჩხუთი, ნინოშვილის ქუჩა N37 ტელ: 568 74 41 14
tourcenter77@gmail.com

№ 61 15. 07. 2025 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე ,

შპს. ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“-ს მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ მიმდინარე წლის 6(ექვსი) თვის ანგარიშს, ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობების შესახებ. (იხ დანართი 3 გვ.)

პატივისცემით,

შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის
ცენტრი-ს, დირექტორი : / ეკატერინე ჩუბინაშვილი /

შპს. ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი"-ს 2025წლის პირველი და მეორე კვარტლის (6 თვე)მუშაობის ანგარიში:

შპს. ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი"-ს მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სამსახური აქტიურ მუშაობას ეწევა, როგორც ტურიზმის ასევე სოფლის მეურნეობის მიმართულებით. მიმდინარეობს სხვდასხვა საქმიანი შეხვედრები, როგორც ,,ჰელვიტასის" წარმომადგენლებთან კოლხეთის ეროვნულ პარკში, კერძოდ, მდინარე ფიჩორზე საწყლოსნო ტურისტული მომსახურების განვითარების მიზნით, ასევე სხვადასხვა საქმიანი კონსულტაციები ტურიზმის ეროვნულ დეპარტამენტში. პერიოდულად ადგილობრივი მეწარმეებისთვის ტარდება სასწავლო ტრენინგები, სადაც ჩვენი სამსახური აქტიურად არის ჩართული, ტრენინგები ეხება სასტუმროების მენეჯმენტს, სურსათის უვნებლობას ტურისტული მომსახურეობის გაუმჯობესების კონტექსტში. აგრეთვე მოწვეული გვყავდა ტურიზმის ექსპერტი, რომელმაც ტურიზმის განყოფილებას ჩაუტარა სწავლება-ტრენინგი. სწავლება ეხებოდა, მუნიციპალიტეტში ტურისტული პროდუქტების დაგეგმვას, ტურისტული მარშუტების შემუშავებას, ჯგუფური და ინდივიდუალური ტურისტული პაკეტების შექმნა გაყიდვის ტექნიკას, და ტურისტულ ობიექტებზე უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას. პერიოდულად იმართება სამუშაო შეხვედრები ტურიზმის განვითარების მიზნით, ექვს მუნიციპალიტეტს შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში. დაცული ტერიტორიების (კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის ფოთის ოფისში)

სამსახური აქტიურად არის ჩართული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა ღონისძიებაში, როგორც ორგანიზაციულ ასევე, ადგილობრივი მეწარმეების ჩართულობის კუთხით. (ტრადიციული „ ლელო", „ჩიბათობა"). შპს" ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრმა 2025 წლის მაისში პირველად მიიღო მონაწილეობა. საერთაშორისო გამოფენაზე - ,,ექსპრო ბათუმი", სადაც წარმოდგენილი იყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ლოკაციების ბანერები და ადგილობრივი ნაწარმი.

ჩატარდა შეხვედრა დისკუსიები; - შუხუთი, აცანა, მამათი, ძიმითი, აკეთის ველო მარშუტების დაგეგმილი სამუშაოების ანალიზი.

2025 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ტურისტურ სარეკლამო კომპანია „თრეველნიუსთან", რის შედეგადაც ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ატრაქციების და მეწარმეების პოპულარიზაცია სხვადასხვა ონლაინ პლათფორმებზე.

ვამზადებთ ონლაინ პლათფორმას სახელწოდებით „ chibout.ge", რომელიც ემსახურება ონლაინ ჯავშნებს და მუნიციპალიტეტში მიმდინარე ტურისტულ სიახლეებს. ტურიზმის განყოფილება აქტიურად არის ჩართული, როგორც ტურ-პაკეტების შექმნაში და განთავსებაში, ასევე, სხვადასხვა კუთხით, რათა მომხმარებლისთვის მეტად ინფორმაციული და მარტივად აღსაქმელი იყოს საიტი.

სოფლის მეურნეობის განყოფილებამ დახმარება გაუწია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ინიცირებულ საგრანტე პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებას. გარდა ამისა განყოფილება აქტიურად ეხმარება მეწარმეებს, როგორც კონსულტაციების სახით ასევე სხვადასხვა მიმდინარე პროექტებსა და ბიზნეს გემგემის მომზადებაში. სოფლის მეურნეობის განყოფილების თანამშრომლები დაესწრნენ ტრენინგს, რომელიც ეხებოდა გურიის რეგიონის ჩაის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის კვლევას. პროექტი ხორციელდება ,,ადგილობრივი ეკონომკური განვითარება საქართველოში'' ფარგლებში. განყოფილება დაესწრო ლანჩხუთის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრისა და UNDP ორგანიზებით ჩატარებულ ტრენინგს და პრაქტიკულ მეცადინეობას ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებულ მოცვის პლანტაციაში. სოფლის მეურნეობის განყოფილება, დაესწრო სოფლის მეურნეობის სააგენტოს მიერ ინიცირებულ ტრენინგს, რომელიც ეხებოდა ბიო მეწარმეობის განვითარებას. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჩატარდა ტრენინგი, სადაც განხილული იყო ყველა პრიორიტეტული, მიმდინარე და ახალი სასოფლო სამეურნეო პროექტები და მათი მნიშვნელობა. სოფლის მეურნეობის განყოფილება მონიტორინგის ახდენდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კერძოდ სოფ. გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი მშენებარე ავტო-ბანის გასწვრივ, სადაც მდებარეობს სახნავ -სათესი სავარგულები და მოსაწყობია ნაკვეთებში შესასვლელი გზები 430მ-ზე თავისი სანიაღვრე არხებით და მილ-ხიდებით. კონსულტაციები მიმდინარეობს დაინტერესებულ ფერმერებთან პროგრამა ბიზნეს უნივერსალიში. პროგრამის მიზანია ·საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოვების/გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის საშუალებით.

შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი"-ს 2025 წლის ბიუჯეტი შეადგენს 259887,33ნ ლარს, ცნეტრში შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენს 14 ადამიანს, შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა 3 ადამიანს, ცენტრის ექვსი თვის საკასო ხარჯია106298,57ლარი. მ.შ :

შტატით მომუშავეთა ანაზღაურება 68737,24 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 13254,4 ლარი, მივლინება 1473 ლარი, ოფისის ხარჯი 3183 ლარი,

არმომადგენლობითი ხარჯი 2083 ლარი, ტრანსპორტის ხარჯი 1559,93 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი 10578 ლარი, სხვა ხარჯი 444 ლარი, არაფინანსური აქტივი 4986 ლარი